UDC 355/359
SCOPUS CODE 3312
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-2-154-166

თავდაცვისა და შეკავების ტრადიციული და თანამედროვე მექანიზმები – საქართველოს რეალობა და პერსპექტივა

არჩილ დადიანი საჯარო მმართველობისა და ელექტრონული ბიზნესის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: dadiani@gtu.ge

რეცენზენტები:

თ. იაშვილი, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის პროფესორი
E-mail: t.iashvili@gtu.ge

ლ. დავითაძე, საქართველოს თავდაცვის ძალების გენერალური შტაბის სტრატეგიული დაგეგმვის დეპარტამენტის სამხედრო სტრატეგიისა და ძალთა დაგეგმვის სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი
E-mail: lzdavitadze@gmail.com

ანოტაცია. ნაშრომში გაანალიზებულია თავდაცვისა და შეკავების ტრადიციული (სამხედრო შესაძლებლობები) და თანამედროვე (საზოგადოებრივი მედეგობა და წინააღმდეგობა) მექანიზმები, საქართველოს თავდაცვისუნარიანობის არსებული რეალობა და განვითარების პერსპექტივები.

შესწავლილია უცხოეთის მოწინავე გამოცდილება, განხორციელებული რეფორმები და თანამედროვე საფრთხეებთან გამკლავების პრაქტიკა.

შეფასებულია როგორც რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მოვლენები, ისე 1994 წლის რუსეთ-ჩეჩნეთის და 2006 წლის, ლიბანის ომის სახელწოდებით ცნობილი, ისრაელისა და ჰეზბოლას დაპირისპირება.

ამასთანავე, საქართველოს თავდაცვისა და შეკავების მექანიზმების გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება ადგილობრივი უწყებების და საერთაშორისო ავტორიტეტული ორგანიზაციების სამეცნიერო-ანალიტიკურ დოკუმენტებს.

საკვანძო სიტყვები: არაკონვენციური ბრძოლის მეთოდი; ასიმეტრიული ბრძოლის მეთოდი; თავდაცვა; თავდაცვისუნარიანობა; საზოგადოებრივი მედეგობა და წინააღმდეგობა; შეკავება.

შესავალი

საქართველო მდებარეობს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ეროვნული უსაფრთხოებისათვის მაღალი რისკების შემცველი გარემო და ხშირი სამხედრო კონფლიქტები. მას ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაცია, რომელსაც ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის 20%, ხოლო სამხრეთით – თურქეთი, სომხეთი და აზერბაიჯანი [1].

აღსანიშნავია, რომ სამხედრო-პოლიტიკური კუთხით, რეგიონში არსებული სიტუაცია საქართველოსთვის მეტად არასახარბიელოა. კერძოდ, რუსეთის ფედერაცია და სომხეთი დაკავშირებული არიან ხელშეკრულებით, რომელიც მათ სამხედრო პარტნიორობას გულისხმობს. ამასთანავე, თურქეთი და აზერბაიჯანი სამხედრო მოკავშირეებად გვევლინებიან, რაც ნათლად გამოჩნდა 2020 წლის აზერბაიჯანისა და სომხეთის ომის დროს [2, 3].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს აკავშირებს სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-სთან, ეს პარტნიორობა არ გულისხმობს საქართველოსათვის სამხედრო ძალით დახმარებას რუსეთის ფედერაციის ან სხვა მოწინააღმდეგის მხრიდან სამხედრო აგრესიის შემთხვევაში [4, 5].

ნატო-საქართველოს მჭიდრო და წარმატებული პარტნიორობის მიუხედავად, საქართველო არ არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და, შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება ნატოს ხელშეკრულების მეხუთე მუხლი[1] [6].

ზემოაღნიშნული რეგიონული და სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოს უწევს ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ურთულესი ამოცანების გადაჭრა, რაც კრიტიკულ მნიშვნელობას სძენს საქართველოს მხრიდან თანამედროვე და ეფექტიანი უსაფრთხოების პოლიტიკის და მექანიზმების განვითარებას.

ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია **შეკავების მექანიზმი,** რომელიც ემსახურება მოწინააღმდეგის გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზეგავლენის მოხდენას, რათა მან ხელი აიღოს სამხედრო აგრესიაზე.

ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელმა დიდმა სახელმწიფოებმა, როგორებიც არიან აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია და საფრანგეთი, ათწლეულების განმავლობაში ჩამოაყა-

[1]**ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულება, მუხლი 5** - მხარეები თანხმდებიან, რომ ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე ერთ ან ერთზე მეტ მხარეზე განხორციელებული შეიარაღებული თავდასხმა აღიქმება ყველას წინააღმდეგ თავდასხმად. არსებულ შემთხვევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების 51-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური თუ კოლექტიური თავდაცვის უფლების საფუძველზე, მხარეები დახმარებას გაუწევენ საფრთხის ქვეშ მყოფ მხარეს ან მხარეებს და განახორციელებენ ყველა საჭირო ქმედებას, მათ შორის სამხედრო ძალის გამოყენებას, ჩრდილოატლანტიკური რეგიონის უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით. ნებისმიერი მსგავსი შეიარაღებული თავდასხმისა და მის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უშიშროების საბჭოს. შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება დასრულდება უშიშროების საბჭოს მიერ საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების აღდგენისა და შენარჩუნების მიზნით შესაბამისი ზომების მიღებისთანავე.

ლიბეს ეფექტიანი შეკავების სისტემა სამხედრო შესაძლებლობებზე დაყრდნობით, თუმცა თანამედროვე სამყარო დგას ისეთი გამოწვევის წინაშე, როგორიც არის ჰიბრიდული ომი. იგი წარმოადგენს პირდაპირ საფრთხეს თავდასხმის ობიექტი სახელმწიფოს კერძო და სამოქალაქო სექტორისათვის. მსგავს ვითარებაში ტრადიციული, სამხედრო პასუხზე დაფუძნებული, შეკავების მექანიზმის ეფექტიანობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება და საჭიროა თანამედროვე მიდგომების განვითარება, სადაც სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორები ერთობლივი ძალისხმევით ქმნიან შერეულ შეკავების სისტემას. კერძოდ, სამხედრო შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად, უნდა განვითარდეს **საზოგადოებრივი მედეგობის და წინააღმდეგობის მექანიზმი,** რომელიც შესაბამის პასუხს გასცემს ჰიბრიდული ომიდან მომდინარე საფრთხეებს.

ძირითადი ნაწილი

1. სამხედრო პასუხი – თავდაცვის და შეკავების ტრადიციული მექანიზმი, საქართველოს რეალობა და პერსპექტივა

ვინაიდან სხვა სახელმწიფოების მსგავსად, საქართველო მსოფლიო საზოგადოების შემადგენელი ნაწილია, მის წინაშეც დგას ზემოაღნიშნული გამოწვევები. შესაბამისად, აუცილებელია თავდაცვისა და შეკავების თანამედროვე და ადეკვატური მექანიზმების განვითარება.

საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში განსაზღვრულია შეიარაღებული ძალების სამხედრო მიზნები, რომელთაგან გამოვყოფდით თადაცვისა და შეკავების უზრუნველყოფის საკითხს.

ამავე დოკუმენტში განმარტებულია, თუ რა მიზანს ემსახურება შეკავების მექანიზმი. „*შეკავების მიზანია მოწინააღმდეგის შესაძლო სამხედრო აგრესიის თავიდან აცილება ბრძოლისუნარიანი, ადეკვატურად დაკომპლექტებული, აღჭურვილი და გაწვრთნილი შეიარაღებული ძალების განვითარების გზით. ეფექტიანი შეკავება აიძულებს პოტენციურ მოწინააღმდეგეს, უარი თქვას შეიარაღებულ თავდასხმაზე, სამხედრო ოპერაციის წარუმატებლობის ან მიზნის მისაღწევად შეუსაბამო დანაკარგების გამო. შეკავება მოითხოვს შეიარაღებული ძალების გამართული რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის არსებობას და, ასევე, ხელისუფლების უნარს, კრიზისის ან ომის დროს, მოახდინოს ეროვნული რესურსების მობილიზება. შეკავება ასევე მოიცავს დიპლომატიის გამოყენებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და შესაძლო ესკალაციის აღკვეთის მიზნით*“[7].

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე სამყაროში ჰიბრიდული ომის წარმოებამ წინა პლანზე გადმოიწია, სახელმწიფო მუდმივად უნდა ავითარებდეს ტრადიციულ სამხედრო შესაძლებლობებს, რათა მისი ტერიტორიული მთლიანობა და მოქალაქეთა უსაფრთხოება უზრუნველყოფილი იყოს სამხედრო აგრესიის შემთხვევაში. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად ავითარებს თავდაცვის ძალების საბრძოლო მზადყოფნას და ტექნოლოგიურ შესაძლებლობებს [8].

პარტნიორებთან ერთად პერმანენტულად ხორციელდება მასშტაბური წვრთნები, როგორც საბრძოლო მზადყოფნის, ისე ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლების მიზნით [9].

აღნიშნული მიზნების მიღწევის კუთხით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობამ სამშვიდობო მისიებში, რამაც დიდი გამოცდილება შესძინა ჩვენს სამხედრო მოსამსახურეებს.

თუ გავაანალიზებთ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მოვლენებს, რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების რაოდენობრივი მაჩვენებლები გაცილებით აღემატებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალებისას. რუსეთის ფედერაციის სახმელეთო ძალების შემადგენლობა 35000–40000 ჯარისკაცს ითვლიდა, ხოლო საქართველოს შეიარაღებული ძალების მხრიდან ბრძოლაში 12000–15000 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. მიუხედავად აღნიშნული ძალთა თანაფარდობისა, ქართული სამხედრო შენაერთები უპირატესობას ფლობდნენ ტაქტიკური დონის შეტაკებებში, ისინი მეტ ზიანს აყენებდნენ მოწინააღმდეგეს, ვიდრე თავად იღებდნენ [10, 11].

ქართული ქვედანაყოფების აღნიშნული უპირატესობა, განპირობებული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების აღჭურვილობითა და საბრძოლო მომზადებით, რომელიც მათ მიღებული ჰქონდათ აშშ-ის და ნატოს სხვა წევრი ქვეყნების დახმარებით, რაც სწორედ წლების განმავლობაში წარმატებული პარტნიორობის დამსახურებაა.

2008 წლის ომის საბრძოლო მოქმედებებში წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად არათანაბარი რესურსებისა და სამხედრო შესაძლებლობების პირობებში, საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ **ასიმეტრიული ბრძოლის პრინციპების არგამოყენება გვევლინება**[2] [11].

აღნიშნული მოცემულობა ეწინააღმდეგება ისეთ შემთხვევებს, სადაც მცირე ზომის კარგად ორგანიზებულმა საბრძოლო შენაერთებმა, სწორედ ზემოაღნიშნული მეთოდების გამოყენებით (ასიმეტრიული ბრძოლის მეთოდი), ისეთი სერიოზული ზიანი მიაყენეს მსოფლიოს ძლევამოსილ არმიებს, რომ ამ უკანასკნელთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობებს უკან დახევა და დამარცხების აღიარება ან მოლაპარაკების მაგიდასთან მისხდომა მოუწიათ. განვიხილოთ ორი ასეთი შემთხვევა, 1994 წლის რუსეთ-ჩეჩნეთის ომი და 2006 წლის ე.წ. ლიბანის ომი, სადაც ისრაელის თავდაცვის ძალები და ჰეზბოლა *(ლიბანელ შიიტთა შეიარაღებული დაჯგუფება)* დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

- **1994 წლის რუსეთ-ჩეჩნეთის ომი**

რუსეთ-ჩეჩნეთის პირველი ომის დროს 1994 წლის დეკემბერში, რუსული არმიის სახმელეთო ძალები შეიჭრნენ ჩეჩნეთში და მის დედაქალაქ გროზნოში. ქალაქი გროზნო და მისი მიმდებარე დასახლებები თითქმის მიწასთან გაასწორეს საჰაერო და საარტილერიო დაბომბვებით, რომლის მასშტაბიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უდიდესი იყო იმ პერიოდისათვის. ალყაში მოქცეული ჩეჩნეთის დედაქალაქი და მისი მიმდებარე ტერიტორიები, თითქმის ორთვე-ნახევარი მუშავდებოდა საარტილერიო და საავიაციო ცეცხლით, რამაც მათი ნანგრევებად ქცევა

[2]**ასიმეტრიული ომი** – არაკონვენციური სტრატეგიებისა და ტაქტიკების გამოყენება მაშინ, როდესაც დაპირისპირებული მხარეების შესაძლებლობები არა მხოლოდ არათანაბარია, არამედ – იმდენად განსხვავებული, რომ შეუძლებელი ხდება მოწინააღმდეგეების მხრიდან იდენტური შეტევების განხორციელება ერთმანეთზე.

განაპირობა. რუსმა მეთაურებმა ჩათვალეს, რომ მზად იყვნენ ქალაქის ასაღებად და დაძრეს მათ დაქვემდებარებაში მყოფი ქვედანაყოფები. თავიდან-ვე ცხადი იყო, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის ომი ასიმეტ-რიული სახის იქნებოდა. რუსული არმია, როგორც რაოდენობრივად, ისე ტექნიკის მხრივ სერიოზულ უპირატესობას ფლობდა ჩეჩნურ სამხედრო დაჯგუ-ფებებთან შედარებით. გროზნოს ურბანული ცენტ-რის მიმართულებით მოძრავ რუსულ კოლონას ტან-კები მიუძღოდნენ, მათ ჯავშანტრანსპორტიორები და სამხედრო მანქანები მიჰვებოდნენ. აღსანიშნავია, რომ ჯავშანტექნიკაზე შემომსხდარი იყვნენ ქვეითე-ბი, რაც წარმოადგენს პირადი შემადგენილობის უსა-ფრთხოების წესების უგულებელყოფის ფაქტს და მიუთითებს რუსული შენაერთების სამეთაურო რგოლის წინდაუხედაობაზე. კერძოდ, ისინი დარ-წმუნებული იყვნენ, რომ საარტილერიო/საავიაციო დაბომბვების და რიცხობრივი უპირატესობის მეშ-ვეობით სამხედრო ოპერაცია გეგმის მიხედვით ჩაივ-ლიდა, მაგრამ შედეგი საპირისპირო დადგა – ჩეჩენმა მებრძოლებმა მცირე შეიარაღების ტაქტიკითა და რაზმების მობილურობის გამოყენებით მძიმე მდგო-მარეობაში ჩააყენეს რუსული შენაერთები.

ჩეჩნების კარგად გამართულმა საკომუნიკაციო სისტემამ, მობილურობამ, საბრძოლო მომზადებამ (ბევრი მათგანი ყოფილ საბჭოთა ჯარში ნამსახურე-ბი და ავღანეთის ომის ვეტერანი იყო) და ტერიტო-რიის კარგმა ცოდნამ გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა მათ მიმდინარე შეტაკებებში.

კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ ბრძოლებში მონა-წილე 1312 რუსი სამხედროდან 72%-ს აღენიშნებოდა სხვადასხვა ფსიქოლოგიური დარღვევა, დეპრესია, ლეთარგია, ჰიპოქონდრია, უძილობა და პანიკური შეტევები [12].

- **2006 წლის „ლიბანის ომი“**

2006 წლის 12 ივლისს, ჰეზბოლამ თავდასხმა მოაწყო ისრაელის თავდაცვის ძალების წარმომად-გენლებზე, რომლებიც პატრულირებდნენ ისრაელი-ლიბანის საზღვრის გასწვრივ. თავდამსხმელებმა მძევლად აიყვანეს ისრაელის თავდაცვის ძალების ორი სამხედრო მოსამსახურე. აღნიშნულმა ინცი-დენტმა განაპირობა ისრაელის მიერ სამხედრო ოპე-რაციის დაწყება ლიბანის ტერიტორიაზე.

სამხრეთ ლიბანის ტერიტორია გადამწყვეტ უპი-რატესობას ანიჭებს თავდაცვით პოზიციაში მდგომ მხარეს, მისი რელიეფი ხელს უწყობს ჩასაფრებების და მოულოდნელი თავდასხმების ორგანიზებას. აღ-ნიშნული სამხედრო დაპირისპირების დაწყებამდე, წლების განმავლობაში ჰეზბოლას მებრძოლები წვრთნებს გადიოდნენ ლიბანში, სირიასა და ირანში. მათ კარგად შეისწავლეს პარტიზანული ტაქტიკის შერწყმა კონვენციური ბრძოლის ტაქტიკასთან. შექმ-ნეს ინოვაციური კონცეფცია, ისრაელის სამხრეთ ლიბანში შემოჭრისგან თავის დასაცავად. ჰეზბოლამ მოახდინა თავისი შეიარაღებული დაჯგუფებების ორგანიზება ისე, რომ მათ შეძლებოდათ ოპერაციე-ბის დეცენტრალიზებულად განხორციელება. მთე-ლი სამხრეთ ლიბანის ტერიტორიაზე ააშენეს გამაგ-რებული ბუნკერები.

ისრაელის თავდაცვის ძალების ხელმძღვანელობა იმედოვნებდა, რომ საავიაციო, საარტილერიო და შეზღუდული სამხედრო ოპერაციებით ზემოქმედე-ბას მოახდენდნენ ლიბანზე, რათა აეძულებინათ ჰეზ-ბოლა, დაებრუნებინა გატაცებული სამხედრო მო-

სამსახურეები. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულმა მიდგომამ არ გაჭრა, ისრაელის პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დაეწყო ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაცია, რასაც ისინი თავდაპირველად ეწინააღმდეგებოდნენ.

ისრაელის სახმელეთო ძალები სერიოზულ სირთულეებს გადააწყდნენ ჰეზბოლასთან დაპირისპირებისას, მათ დიდი ფასის გადახდა მოუწიათ[13].

ისრაელმა წამოიწყო სახმელეთო შეტევა რეგულარული არმიის ნაწილებით, რომლებსაც წინ სპეცდანიშნულების რაზმები მიუძღოდნენ. მათი მიზანი იყო, სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება და მოწინააღმდეგის სამხედრო სამეთაურო პუნქტების განეიტრალება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ჰეზბოლას სამხედრო შენაერთები კარგად იყვნენ ორგანიზებულნი და ეფექტიანად ახერხებდნენ მცირე ჯგუფებით მოულოდნელი თავდასხმების და ჩასაფრებების მოწყობას. ისინი ახერხებდნენ ძლიერი წინააღმდეგობის გაწევას, სხვადასხვა რელიეფზე. მიუხედავად ისრაელის მხრიდან დამატებით 20 000-კაციანი რეზერვისტთა შენაერთების ბრძოლაში ჩართვისა, ჰეზბოლას თავდაცვითი სისტემის გარღვევა და მათი ნეიტრალიზება ვერ მოხერხდა. საბოლოოდ შეიარაღებული კონფლიქტი 34 დღე გაგრძელდა, რამაც ისრაელის პოლიტიკური ხელმძღვანელობა აიძულა დათანხმებულიყო ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებაზე.

ისრაელმა აღნიშნულ ომში სერიოზული ზიანი მიიღო, დაიღუპა 119 სამხედრო მოსამსახურე, ამას ემატება ორი სამხედრო მოსამსახურე, რომლებიც 2006 წლის 12 ივლისს გაიტაცეს სამხედრო პატრულზე თავდასხმის დროს ჰეზბოლას მებრძოლებმა. მათი გვამები 2008 წელს გადაეცა ისრაელს. ასევე აღსანიშნავია ეკონომიკური ზარალი, რომელმაც 4.8 მილიარდი დოლარი შეადგინა და, რა თქმა უნდა, რეპუტაციული ზიანი, რომელმაც ეჭვქვეშ დააყენა ისრაელის და მისი არმიის ძლევამოსილების მითი [14].

ზემოაღნიშნული მაგალითები ნათლად გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მოცულობის და რესურსების მხრივ წამგებიან მდგომარეობაში ყოფნისა, ასიმეტრიული ბრძოლის მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია ასეთი ტიპის უპირატესობის მქონე მოწინააღმდეგისთვის სათანადო წინააღმდეგობის გაწევა, როგორც მინიმუმ მისი სტრატეგიული მიზნების ჩაშლა და წარმოებული სამხედრო კამპანიის დაუძლეველ ტვირთად გადაქცევა და მაქსიმუმ მისთვის ისეთი ზიანის მიყენება, რომ ბრძოლიდან დამარცხებული და რეპუტაციაშელახულ მდგომარეობაში გავიდეს.

იმედის საფუძველს გვაძლევს ის გარემოებაც, რომ საქართველო მუდმივად ცდილობს განავითაროს ტერიტორიული თავდაცვის სისტემა და ამ პრინციპზე მოწყობილი რეზერვი, რაც ასახულია 2017–2020 წლის თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში. კერძოდ, ეროვნული გვარდიის რეორგანიზების აუცილებლობის და რეზერვის კონცეფციის შემუშავების მნიშვნელობის შესახებ [15].

2018 წელს დაიწყო საპილოტე პროექტი, რომელსაც ახორციელებს ეროვნული გვარდია და ის მოიცავს ტერიტორიული რეზერვის ასეულების ჩამოყალიბებას სხვადასხვა რეგიონში. თავდაპირველად შეიქმნა ორი ასეული, ბათუმსა და თელავში. პროექტით გათვალისწინებულია ასეთივე ასეულების შექმნა სხვა რეგიონებშიც, რამაც საბოლოოდ უნდა მიგვიყვანოს ტერიტორიული რეზერვის სისტემის ჩამოყალიბებამდე [16].

მოცემული სისტემა შესაძლებლობას იძლევა მტერს მასირებული სამხედრო წინააღმდეგობა გავუწიოთ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. აღნიშნული მნიშვნელოვნად გაართულებს მოწინააღმდეგის სამხედრო ამოცანებს, გაზრდის დროის, ადამიანური და ფინანსური რესურსების დანახარჯებს და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გააძლიერებს პოლიტიკურ წნეხს აგრესორ სახელმწიფოზე. ტერიტორიული სამხედრო რეზერვის ერთ-ერთი საყურადღებო ფაქტორია, კონკრეტულ ტერიტორიულ ერთეულზე არსებული შენაერთების მიერ მათი საბრძოლო არეალის კარგი ცოდნა. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ტერიტორიული სარეზერვო შენაერთები კომპლექტდება ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან, რომელთათვის იოლდება მათ ქვედანაყოფზე განსაზღვრული ძირითადი საბრძოლო არეალის რელიეფური თუ ურბანული მახასიათებლების და თავისებურებების შესწავლა. აღნიშნული კი ერთიორად ზრდის ქვედანაყოფის ეფექტიანობას საბრძოლო ამოცანების გადაჭრის კუთხით. ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს რელიეფური მახასიათებლები, რაც ხშირ შემთხვევაში მნიშნელოვან პრობლემებს უქმნის მოწინააღმდეგეს დიდი შენაერთებით გადაადგილებისა ან მანევრირებისას.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში მონაწილე ჩეჩნეთის სამხედრო დაჯგუფებებისა და ჰეზბოლასგან განსხვავებით, საქართველოს თავდაცვის ძალები წარმოადგენს სახელმწიფო სამხედრო ძალას, რომელიც შედგება რეგულარული სამხედრო შენაერთებისგან, რაც მის კიდევ მეტ სამხედრო შესაძლებლობებს უსვამს ხაზს [17].

საქართველოს აქვს პოტენციალი განავითაროს ისეთი სახის სამხედრო შესაძლებლობები, რომელიც გაზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას და აგრესორისთვის სამხედრო ოპერაციას დაუძლეველ ტვირთად გადააქცევს. აღნიშნული, თავის მხრივ გავლენას მოახდენს მოწინააღმდეგის გადაწყვეტილებაზე, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებს შეკავების მექანიზმს.

2. საზოგადოებრივი მედეგობა და წინააღმდეგობა – თავდაცვის და შეკავების თანამედროვე მექანიზმი, საქართველოს რეალობა და პერსპექტივა

ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მრავალი მიმართულება და ინსტრუმენტია ჩართული, ხოლო მათი ეფექტიანი ფუნქციონირების მთავარი საყრდენი და გარანტორი საზოგადოებაა. თანამედროვე შეკავების მექანიზმიც, სწორედ საზოგადოებრივი მედეგობის განვითარებას ეფუძნება.

სამხედრო მზადყოფნასთან ერთად წინა პლანზე საზოგადოებრივი მედეგობის წამოწევა სწორედ ჰიბრიდული ომისგან მომდინარე საფრთხეებმა გამოიწვია.

ჰიბრიდული ომი გამოიყენება ომსა და მშვიდობას შორის არსებული ზღვარის მოსაშლელად, ის მიმართულია ინსტიტუციებისა და მოსახლეობის წინააღმდეგ, რათა მათ ვერ შეძლონ სტრატეგიული მიზნების მიღწევა. იგი მოიცავს როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო, ფარულ და ხილულ საშუალებებს, როგორიცაა, კონვენციური და არაკონვენციური ძალები, კიბერშეტევები, დეზინფორმაცია, კორუფცია, ეკონომიკური იძულება. აღნიშნული საფრთხეები სიახლეს არ წარმოადგენს, მაგრამ ტექნოლოგიურმა პროგრესმა და მზარდმა გლობალურმა კავშირებმა ბოლო წლებში გააფართოვა მათი არეალი და გაზრდა ინტენსივობა, სიჩქარე და მასშტაბი [18].

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსეთის მხრიდან საქართველოზე განხორციელდა ფართომასშტაბიანი კიბერ- და საინფორმაციო შეტევები, რომლის მიზანი იყო როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი მოსახლეობის დეზორიენტაცია პანიკის დანერგვისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელების მეშვეობით. ამასთანავე, სამხედრო კონფლიქტის მიმდინარეობის პარალელურად, მაღაზიებსა და ავტოგასამართ სადგურებზე დაუსრულებელი რიგები და დაძაბულობა შეინიშნებოდა. შეტევები განხორციელდა როგორც სამთავრობო ვებგვერდებზე, ისე სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებზე; ხდებოდა ქართული მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ბლოკირება და პარალელურ რეჟიმში, რუსული მედია სინქრონულად მუშაობდა „ფეიკ ნიუსების“ გავრცელებაზე. იუწყებოდნენ, თუ როგორ დაბომბა ქართულმა მხარემ მძინარე ცხინვალი, რომ დიდძალი მსხვერპლია ოსურ მშვიდობიან მოსახლეობაში და თითქოს ქართული შენაერთები ეწეოდნენ ეთნიკურ წმენდას, რომლის შესაჩერებლადაც რუსეთის ფედერაცია იძულებული გახდა დაეწყო სამხედრო ოპერაცია „მშვიდობის“ დასამყარებლად [19].

აღნიშნულმა გარემოებებმა გამოავლინა, რომ საზოგადოება არ იყო მზად ამგვარი ოპერაციისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობის გასაწევად. ძნელად წარმოსადგენი არ არის, რა მასშტაბის კრიზისს მივიღებდით, თუ პანიკა და ქაოსი რამდენიმე დღის ნაცვლად კვირები ან თვეები გაგრძელდებოდა. აღნიშნული პრობლემა პირდაპირ კავშირშია საზოგადოების ცნობიერებისა და განათლების ნაკლებობასთან თავდაცვისა და ეროვნული უსაფრთხოების მიმართულებით.

საინტერესოა საქართველოს მსგავსი მცირე რესურსების მქონე სახელმწიფოების მიდგომები საზოგადოებრივი მედეგობის განვითარებისადმი. ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, ესტონეთი, ლიეტუვა და ლატვია 90-იანი წლებიდან აქტიურად შეუდგა ტოტალური თავდაცვის მოდელის დანერგვას [20].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჰიბრიდული ომით გამოწვეულმა საფრთხეებმა სახელმწიფოები ახალი რეალობის წინაშე დააყენა ამ მხრივ არც ბალტიისპირეთის ქვეყნებია გამონაკლისი, შესაბამისად, მათაც დაიწყეს ადაპტირება აღნიშნულ გამოწვევებთან. მაგალითად, ლატვიის 2020 წლის სახელმწიფო თავდაცვის კონცეფციაში დიდი ყურადღება ეთმობა საზოგადოებრივ მედეგობას და წინააღმდეგობას, ახალგაზრდა თაობის განათლებას და მომზადებას. თავდაცვისა და წინააღმდეგობის მიმართულებით სკოლებში დაინერგა ახალი საგანმანათლებლო კურსი „ეროვნული თავდაცვა“, რომლის მიზანია მოსწავლეებს მისცეს ცოდნა როგორ დაიცვან თავი კრიზისის ან საომარი მდგომარეობის დროს და როგორ გაუწიონ მხარდაჭერა ეროვნულ თავდაცვას [21, 22].

ბალტიისპირეთის ქვეყნების მუშაობა შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიმართულებით, თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ქვეყნების თავდაცვის უწყებების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებს. ესტონეთის მოსახლეობის 56%-ს სურს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის თავდაცვაში. ლიეტუვასა და ლატვიაში, თავდაცვაში აქტიურად ჩართვის მსურველთა რიცხვი შესაბამისად 39%-ს და 33%-ს შეადგენს. ამ სამი ქვეყნის პოპულაციური მაჩვენებლების მიხედვით აღნიშნული მონაცემები დაახლოებით 2.5 მი-

ლიონ ადამიანს შეადგენს, რომლებიც მზადყოფნას გამოთქვამენ, აქტიურად ჩაერთონ საკუთარი ქვეყნის თავდაცვაში, რაც საკმაოდ შთამბეჭდავი მონაცემია [23, 24].

ჰიბრიდული ომით წამოჭრილი გამოწვევების უმრავლესობას შეუძლებელია დაუპირისპირდე სამხედრო საშუალებებით. ნათელია, რომ აღნიშნული გამოწვევებით მომდინარე საფრთხეების სამიზნე ინფრასტრუქტურის უდიდესი ნაწილი კერძო და სამოქალაქო სექტორზე მოდის. აღნიშნული რეალობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორების მჭიდრო თანამშრომლობას აღნიშნული საფრთხეების განეიტრალებისა და უკუგდების მიმართულებით.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვის 2030-ის დოკუმენტში ხაზგასმულია თანამედროვე უსაფრთხოების გამოწვევები და ჰიბრიდული ომისგან მომდინარე საფრთხეებთან გამკლავების მიდგომები. იმედისმომცემია დოკუმენტში შეტანილი თავდაცვის თანამედროვე ასპექტები, როგორიცაა სამოქალაქო მედეგობის განვითარება ტოტალური თავდაცვის ქოლგის ქვეშ. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე ხაზგასმულია სამოქალაქო ინფრასტრუქტურის უსაფრთხოებისა და უწყვეტი ფუნქციონირების მნიშვნელობა, ამ მიმართულებით სახელმწიფო, კერძო და სამოქალაქო სექტორების მჭიდრო თანამშრომლობა [25].

ასევე ნიშანდობლივია, რომ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით უკვე მერვედ ჩატარდა ყოველწლიური წვრთნა, სახელწოდებით „დიდგორი 2021“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო უწყებებსშორისი კოორდინაციის დახვეწას კრიზისული და საომარი ვითარების დროს [26].

თუ გავაანალიზებთ თანამედროვე სამყაროში წამოჭრილ საფრთხეებს, რომლის სამიზნე არის კერძო და სამოქალაქო სექტორი, კრიტიკულად მნიშვნელოვანია მათი მონაწილეობა „დიდგორი 2021-ის“ მსგავს სწავლებებსა და წვრთნებში, რათა ზემოთ მოყვანილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ხედვა 2030-ის დოკუმენტში მიმოხილული საფრთხეების ნეიტრალიზაციის მექანიზმები რეალურად ეფექტიანი გახდეს.

სამომავლოდ სამოქალაქო მედეგობის გაძლიერებისა და განვითარებისათვის, მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ეროვნულ სასწავლო გეგმაში შეტანილი საგნები, „სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება“ და „სამხედრო ისტორია და ეროვნული თავდაცვა“. პირველი მოიცავს სამ მიმართულებას: პირადი უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საგანგებო ვითარებაში უსაფრთხოების საფუძვლები; გადაუდებელი ექიმამდელი დახმარება. მეორე – ისტორიული ინტერპრეტაცია და კვლევა; სამხედრო საქმის ორგანიზება; სამხედრო საქმის წარმოება; სამოქალაქო თავდაცვა. აღნიშნული ჩამონათვალიდან ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეს ეძლევა საშუალება, გაეცნოს, თუ რას წარმოადგენს კრიზისული, საომარი მდგომარეობა და როგორ მოიქცეს მის პირობებში საკუთარი თავის და გარშემომყოფთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

ერთი შეხედვით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს გააზრებული აქვს თუ რა მნიშვნელობის მატარებელია ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობა, მაგრამ სასურველია მეტი აქტიურობა საზოგადოებასთან მუშაობის კუთხით, ვინაიდან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწო-

რედ საზოგადოებაა საფუძველი, რომელზეც ეროვნული თავდაცვა და უსაფრთხოება უნდა დაშენდეს.

დასკვნა

მნიშვნელოვანია გავაანალიზოთ ზემოთ განხილული ყველა კომპონენტი. დავიწყოთ შეკავების ტრადიციული მექანიზმის საკითხით. კერძოდ, თავდაცვის ძალების გაძლიერების მიმართულებით. ნაშრომის შესავალში მოცემული ინფორმაცია ნათლად გვიჩვენებს, რომ რეგიონში არსებული სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, საქართველოს პოზიციები მყიფეა. თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მწირ რესურსებს და მის წინაშე არსებულ სამხედრო საფრთხეებს, ნათელია, რომ საქართველოს ამ ეტაპისათვის არ შესწევს ძალა, რომ ჰყავდეს იმ მოცულობის და შესაძლებლობების რეგულარული არმია, რომელიც შეძლებს აღნიშნულ სამხედრო საფრთხეებთან გამკლავებას ან პოტენციური სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, მოწინააღმდეგისთვის ხანგრძლივი წინააღმდეგობის გაწევას. აღნიშული ნათლად დაგვანახა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმაც. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მოწინააღმდეგეს შესაძლებლობა აქვს სამხედრო აგრესია განახორციელოს მრავალი მიმართულებიდან. ნიშანდობლივია, როდესაც მას უკვე ოკუპირებული აქვს დასავლეთ საქართველოში აფხაზეთი, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – სამხრეთ ოსეთის ტერიტორიები, სადაც დისლოცირებული ჰყავს სამხედრო შენაერთები. მოცემული გარემოება კიდევ უფრო ართულებს საქართველოს თავდაცვის ძალების წინაშე მდგარ ამოცანებს. აღნიშნულ სიტუაციაში, სადაც მოწინააღმდეგეს უკვე აქვს სამხედრო პლაცდარმი, მისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს სამხედრო ოპერაციის სხვადასხვა მიმართულებით გაშლა, რაც მათ რიცხობრივ უპირატესობას კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას შესძენს. ასეთ სამხედრო ვითარებასთან გამკლავება შესაძლებელია საქართველოს მთელს ტერიტორიაზე, მათ შორის მტრის მიერ კონტროლირებად ან პოტენციური საომარი მოქმედებების დროს მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე წინააღმდეგობის გაწევის გზით.

ისმის კითხვა, როგორ უნდა მოვახერხოთ ასეთი სამხედრო წინააღმდეგობის შექმნა? აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად მნიშვნელოვანია:

- ტერიტორიული სამხედრო სარეზერვო შენაერთების ჩამოყალიბება, რომელთაც შეეძლებათ ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე მოწინააღმდეგისთვის სამხედრო წინააღმდეგობის გაწევა და რეგულარული შენაერთების მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ასიმეტერიული და არაკონვენციური ბრძოლის მეთოდების დანერგვა, როგორც რეგულარულ, ისე სარეზერვო შენაერთებში, რათა მოწინააღმდეგეს მის მიერ დაკავებულ ტერიტორიებზეც მუდმივად შეექმნას პრობლემები და ასევე ნიველირებულ იქნეს მისი უპირატესობა რესურსებისა და რიცხოვნობის მხრივ;
- დეცენტრალიზაცია და ავტონომიურობა, რომ კრიტიკულ სიტუაციებში ცალკეულმა შენაერთებმა შეძლონ მათ წინაშე არსებული ამოცანების დამოუკიდებლად გადაჭრა.

რაც შეეხება თავდაცვისა და შეკავების თანამედროვე მექანიზმების საკითხს, ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და, ასევე, მოწინავე ქვეყნების ლიდერებიც

მკაფიოდ აფიქსირებენ, რომ ეროვნული თავდაცვის დაგეგმვის პროცესის ქვაკუთხედი სწორედ საზოგადოებრივი მედეგობა და წინააღმდეგობაა [27].

თუ გავაანალიზებთ ჰიბრიდული ომით წარმოქმნილ საფრთხეებს, მათი უმრავლესობა სწორედ არასამხედრო ხასიათისაა. მეტიც, როდესაც ვსაუბრობთ სამხედრო შესაძლებლობების განვითარებაზე, სამხედრო ტერიტორიული სარეზერვო ძალების შექმნის და, ასევე, ასიმეტრიული ბრძოლის მეთოდების დანერგვაზე, როგორც რეგულარულ შენაერთებში, ისე სარეზერვო ერთეულებში, ორივე მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ინფორმირებული, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში გათვითცნობიერებული საზოგადოების როლი. ამ მიმართულებით წარმატების მისაღწევად მნიშვნელოვანია გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

- თავდაცვის დაგეგმვის პროცესი უნდა დაეფუძნოს საზოგადოების მედეგობას და წინააღმდეგობას;
- თავდაცვის ბიუჯეტი არ უნდა იხარჯებოდეს მხოლოდ სისტემის შიგნით, არამედ უნდა ხდებოდეს აკადემიური წრეების ჩართულობის სტიმულირება თავდაცვის უზრუნველყოფის პროცესებში;
- უნდა შემუშავდეს რელევანტური საკომუნიკაციო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში მსჯელობის სტიმულირებას და ინფორმაციის გავრცელებას ეროვნული თავდაცვის შესახებ;
- თავდაცვის უწყებამ პერმანენტულად უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი აზრი, თავდაცვის დაგეგმვის პროცესის რელევანტურობის უზრუნველყოფის მიზნით;
- ტოტალური თავდაცვის პრინციპების რეალური და ქმედითი განხორციელებისათვის აუცილებელია შესაბამის წვრთნებსა და სწავლებებში უზრუნველყოფილ იქნეს კერძო და სამოქალაქო სექტორის მონაწილეობა.
- შეიქმნას ეროვნული წინააღმდეგობის კონცეფცია, რასაც უნდა მოჰყვეს შესაბამისი კონცეფციების შემუშავება უწყებრივ დონეზე, ხოლო თავდაცვის სამინისტრო იტვირთავს ლიდერის როლს.
- ეროვნული წინააღმდეგობის კონცეფციის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, სასურველია, ყოველმა უწყებამ შეიმუშაოს როგორც დეტალური ოპერატიული, ისე განვითარების გეგმები.
- დაბოლოს, როდესაც ვსაუბრობთ თავდაცვის და შეკავების თანამედროვე და ტრადიციულ მექანიზმებზე, არ შეიძლება უგულებელვყოთ შესაძლებლობებისა და რესურსების თანამიმდევრული დაგეგმვისა და მისი დროსა და სივრცესთან შესაბამისობის საკითხი. სახელმწიფო უსაფრთხოების კონცეფცია, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს უსაფრთხოების პოლიტიკის ყველა დონის (ეროვნული, თუ უწყებრივი) დოკუმენტი, შემუშავებულია 2011 წელს, რომელიც არ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება უსაფრთხოების პოლიტიკის უწყებრივი დოკუმენტების რელევანტურობა და კრიტიკულად მნიშვნელოვანია შემუშავდეს დღევანდელობის შესაბამისი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია [28] .

ლიტერატურა

1. Ministry of Foreign Affairs of Georgia. (n.d). *Occupied Territories of Georgia*. Retrieved from: https://un.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=1283&lang=1
2. O'Rourke, B. (2010, August 20). *Russia, Armenia Sign Extended Defense Pact.* RadioFreeEurope/RadioLiberty. https://www.rferl.org/a/Russian_President_Medvedev_To_Visit_Armenia/2131915.html
3. Abbasov, S. (2011, January 18). *Azerbaijan-Turkey Military Pact Signals Impatience with Minsk Talks -- Analysts. Eurasianet.* https://eurasianet.org/azerbaijan-turkey-military-pact-signals-impatience-with-minsk-talks-analysts
4. Kogan, E. (2020, November 17). *United States-Georgia Charter on Strategic Partnership: Defense and Security. Middle East Institute.* https://www.mei.edu/publications/united-states-georgia-charter-strategic-partnership-defense-and-security
5. Memorandum on Deepening the Defense and Security Partnership Between the United States of America and Georgia (July 6), U.S. Embassy Tbilisi. 2016
6. *Memorandum on Deepening the Defense and Security Partnership Between the United States of America and Georgia (July 6).* (2016, July 27). U.S. Embassy in Georgia. https://ge.usembassy.gov/memorandum-deepening-defense-security-partnership-united-states-america-georgia-july-6/
7. *The North Atlantic Treaty. Washington, DC - April 4, 1949.* (2016, August 5). Http://Old.Infocenter.Gov.Ge/Index.Php?Newsid=1302. http://old.infocenter.gov.ge/index.php?newsid=1302
8. Ministry of Defense of Georgia. (2014). *National Military Strategy of Georgia.* p.14. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf (In Georgian);
9. *The 11th Battalion Undergoes GDRP Final Training - News - MOD.GOV.GE.* (2020, December 12). The Ministry of Defence of Georgia. https://mod.gov.ge/en/news/read/8033/the-11th-battalion-undergoes-gdrp-final-training
10. *Combined Medical Training within Noble Partner 2020.* (2020, September 12). The Ministry of Defence of Georgia. https://mod.gov.ge/en/news/read/7969/combined-medical-training-within-noble-partner-2020
11. Asmus, R. D. (2010). *A Little War That Shook the World.* New York: Palgrave-MacMillan, p.165.
12. Cohen, A., Hamilton, R. E. (2011). The Russian Military and the Georgia War: Lessons and Implications. p. 114.
13. Janeczko, M. N. (2012). *The Russian Counterinsurgency Operation in Chechnya. Part 1: Winning the Battle Losing the War 1994-1996.* Small Wars Journal.
14. Jonson, D. E. (2011). Hard Fighting Israel in Lebanon and Gaza. Santa Monica: RAND Corporation.
15. Chadwick, A. (2012). *The 2006 Lebanon War: A Short History – Part II.* Small Wars Journal.
16. Ministry of Defense of Georgia. (2020). Strategic Defense Review 2017–2020. (In Georgian);
17. Ministry of Defense of Georgia. (2019). Directives of the Minister. (In Georgian);
18. Matiashvili, G. (n.d.). Structure of Defence Forces. Ministry of Defense of Georgia. https://mod.gov.ge/en/page/16/staff-structure
19. The North Atlantic Treaty Organization. (2021). *NATO's response to hybrid threats.* https://www.nato.int/cps/en/natohq/topics_156338.htm
20. Gotsiridze, A. (2019). *The Cyber Dimension of the 2008 Russia-Georgia War.* Rondeli Foundation.
21. Flangan, S.J., Osburg, J., Binnendijk, A., Kepe, M., Radin, A. (2019). *Dettering Russian Agression in the Baltic States Through Resilience and Resistance.* Rand Corporation.
22. Ministry of Defence of the Republic of Latvia. (2020). *The State Defence Concept.*
23. Krieviņš, R. (2016). *National defense training - interesting, but not widespread in schools.*;
24. Kivirähk J. (2016). *Public Opinion and national Defence.* Tallin: Estonian Ministry of Defence.;

25. Kepe, M., Osburg, J. (2017). *Total Defense: How the Baltic States Are Integrating Citizenry Into Their National Security Strategies.* Small Wars Journal.
26. Ministry of Defense of Georgia. (2020). *Vision of the Minister of Defense.*
27. Ministry of Defense of Georgia. (2021). *Interagency Exercise Didgori 2021 Starts.* https://mod.gov.ge/en/news/read/8489/interagency-exercise-didgori-2021-starts-
28. Braw, E. (2020). *Put Societal Resilience at the Center of Defense Planning.*
29. National Security Council. (n.d). *National Security Concept of Georgia.*

UDC 355/359
SCOPUS CODE 3312
https://doi.org/10.36073/1512-0996-2022-2-154-166

Traditional and Modern Mechanisms of Defence and Deterrence – Georgia's Reality and Prospects

Archil Dadiani Department of Public Administration and E-Business, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: dadiani@gtu.ge

Reviewers:
T. Iashvili, Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: t.iashvili@gtu.ge
L. Davitadze, Head of the Military Strategy and Force Planning Division of the Strategic Planning Department of the General Staff of the Georgian Defense Forces, Colonel
E-mail: lzdavitadze@gmail.com

Abstract. The traditional and modern mechanisms of defence and deterrence, the Georgia's defence capabilities and its future prospects are discussed. Moreover, the international experience, implemented reforms and practices applied to cope with modern threats are highlighted.

The paper analyzes Russian-Georgian 2008 war, 1994 Russia-Chechnya War and confrontation between Israel and Hezbollah, 2006 Lebanon war.

In order to support the strengthening of Georgia's defense and detrrence mechanisms, the paper presents recommendations based on scientific-analytical documents of local agencies and international organizations.

Keywords: asymmetric warfare; defence; defence capabilities; deterrence; societal resilience and resistance; unconventional warfare.

განხილვის თარიღი 29.04.2022
შემოსვლის თარიღი 02.05.2022
ხელმოწერილია დასაბეჭდად 06.06.2022